

კომუნიკაციის სტილიკონფლიქტურსიტუაციაში მშობელი -
შვილის ურთიერთობაში (ქცევაზე დაკვირვება) დამათიემოციური
ურთიერთდამოკიდებულება

ნინო ხუცურაული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილული არის მშობლისა და შვილის კომუნიკაციის სტილი კონფლიქტურ სიტუაციაში და მათი ემოციური ურთიერთდამოკიდებულება.

თეორიულ ნაწილში მოცემულია ოჯახის დეფინიციები, განხილულია პუბერტატის ასაკი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია მშობელსა და შვილს შორის, კონფლიქტის გავლენა მშობლისა და შვილის ურთიერთობებზე და მათ ემოციურ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ლიტერატურის მიმოხილვის დროს გამოყენებული არის შემდეგი ავტორების ნაშრომები: ლორა ბერკი, ფილიპ რაისი, თ. ობოლამე, დ. ნადირაშვილი, ქ. მაცაშვილი, რ.ჯ. კამერონი, კ. მაგინი, გ. კაუფმანი, პ. ულენბერგი და სხვა.

ჩამოყალიბდა შემდეგი სახის სამუშაო ჰიპოთეზა: მოზარდობის ასაკში მშობელსა და შვილს შორის ვლინდება არაეფექტური კომუნიკაციის სტილი და მშობლისა და შვილის კომუნიკაციის სტილი კონფლიქტურ სიტუაციაში ცვლის მათ ემოციურ ურთიერთდამოკიდებულებას.

კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე დადგინდა მშობლისა და შვილის ემოციური დამოკიდებულება. გამოყენებული იყო მაკლინტოკის დიადური ტარანზიქციების მეთოდი.

კვლევის მეორე ეტაპი ექსპერიმენტული სახისაა. მოხდა კომუნიკაციის სტილის კვლევა მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტურ სიტუაციაში. აქ გამოყენებული იყო დაკვირვება მოდელირებულ სიტუაციაში.

მესამე ეტაპზე კი დადგინდა ემოციური ურთიერთდამოკიდებულების ცვლილება მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტურ სიტუაციის შემდეგ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ უმეტეს შემთხვევაში მშობელსა და შვილს შორის ვლინდება კარგი კომუნიკაციის სტილი. კონფლიქტური სიტუაცია კი ახდენს ზეგავლენას შვილისა და მშობლის ემოციურ ურთიერთდამოკიდებულებაზე.